სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამთა საჯაიას* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**21**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**21**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**17**	**20**
პროფესიული თვისებები	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**9**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**86**	**100**

სახელი, გვარი: ლევანი თევზაძე
თარიღი : 16.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 16 **სექტემბერი** **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **თამთა საჯაიას**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **თამთა საჯაია.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 3 სექტემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით,

კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 35 წლისაა. აქვს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი სისხლის სამართალში (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, 2012 წელი). სპეციალობით მუშაობს თითქმის 14 წელია, კერძოდ:

- 2010 წლის აგვისტო - 2014 წლის ნოემბერი - სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების სხდომის მდივანი - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2014 წლის ნოემბერი - 2018 წლის მაისი - მოსამართლის თანაშემწე - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2018 წლის მაისი - 2018 წლის აგვისტო - სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს მთავარი სპეციალისტი - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2018 წლის აგვისტო - 2020 წლის ოქტომბერი - სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს მწერალი თანაშემწე - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2020 წლის ოქტომბერი - 2023 წლის ივლისი - სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ივლისი - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და კურსდამთავრებული.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატ თამთა საჯაიას შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის „ზამთრის სკოლის“ კონკურში მონაწილეობის თაობაზე.

კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით, მცირედი ჯარიმებით. კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული შემდეგი უძრავი ქონება: საცხოვრებელი ბინა, 53.4 მ² ფართით, თბილისში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი 31 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენისათვის, დაკისრებულია სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად. ასევე - 3 შემთხვევაში დაჯარიმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, აღნიშნული ჯარიმები ასევე გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ თამთა საჯაიას მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს. კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში. მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი.

თამთა საჯაია არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 76/17.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში 6.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *ადმინისტრაციულ სამართალში* თამთა საჯაიას აქვს კარგი თეორიული ცოდნა. იგი იცნობს მოქმედი კანონმდებლობის მნიშვნელოვან დებულებებს, ასევე, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. მას შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. *სამოქალაქო სამართალში* მუშაობისას შესაფასებელ პირს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ მისი საგამოცდო მიმართულება სისხლის სამართალია, სამოქალაქო დავათა განხილვის პროცესშიც

წარმოაჩინა სწორი სამართლებრივი არგუმენტების მოძიების, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირებისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევები. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტებში აზრი ყოველთვის სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული. აქვს მოსმენისა და რჩევა-დარიგების გააზრების უნარი. აზრის გამოხატვის, კამათისა თუ დისკუსიის დროს არის დამაჯერებელი, ეთიკური და არაგადაჭარბებული. მას კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც ხშირად ვლინდებოდა მის მიერ პრაქტიკული დავალებების შესრულებისას, რომელსაც ყოველთვის დიდი გულისხმიერებით და მონდომებით ასრულებდა. რეკომენდირებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. *სისხლის სამართალში* სემინარული მუშაობისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სისხლის სამართალი კანონმდებლობის ცოდნის მაღალი დონე. კარგად იცნობს სასამართლო პრაქტიკას. გააჩნია სასამართლო პროცესის წარმართვის სათანადო უნარ-ჩვევები. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

თამთა საჯაიას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე", „გამოყენებითი ფსიქოლოგია", „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტიკური გამართულობა", „ირიბი მტკიცებულებებისა და სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებების დასაშვებობა ოჯახური ძალადობის საქმეებზე" და ა.შ.)

თამთა საჯაიას გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი. ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ ენას.

3. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული; თუმცა, გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები მის მიერ გაცემულ პასუხებში, კერძოდ: არასრულად დაასახელა სისხლის სამართლის პროცესში საგალდებულო დაცვის შემთხვევები.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მისედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

ბოლო სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული 34 სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს", როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს. ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს, არ გამაჩნია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის პრინციპული, აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, არის სამართლიანი, ამასთან პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებელია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის უშუალო, მუდმივად იცავს საზოგადო და პროფესიულ ეთიკის ნორმებს, საკუთარ პოზიციას იცავს მყარი არგუმენტებისა და ემპირიული გამოცდილების საფუძველზე, კოლეგებთან ურთიერთობისას გამოირჩევა კორექტულობით, არის თავდაჭერილი, ეფექტურად მართავს ემოციებს, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატი კოლეგებთან და საზოგადოებაში სარგებლობს ავტორიტეტით, აქვს საქმიანი რეპუტაცია, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **კანდიდატი თამთა საჯაია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნა. ამასთან, კანდიდატის საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემთხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შეცვფასე 21 ქულით (მაქსიმალური -25);

კანდიდატი არის სრულიად კომპეტენტური, ის დამაჯერებლად ასაბუთებს პოზიციას, რაშიც ეხმარება სასამართლო სისტემაში სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ხანგრძლივად მუშაობის გამოცდილება.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 21 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, თამთა საჯაიას მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა. შესწევს უნარი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი მოტივები გასაგებად გადმოსცეს და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს. კანდიდატს შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად და ლაკონურად ჩამაყალიბოს ზეპირად. გადაწყვეტილებებზე მსჯელობისას საკუთარ აზრს გადმოსცემდა გასაგებად, მეტყველებდა გასაგები ქართულით და ყურადღებას ამახვილებდა მნიშვნელოვან ასპექტებზე.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 17 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატი გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობით, არის ყურადღებიანი, გულმოდგინე, კომპეტენტური, შრომისმოყვარე და საქმისადმი ერთგული, ამასთან, მიზანდასახული, პროდუქტიული და განვითარებაზე ორიენტირებული.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ, სისტემატურად ზრუნავს თვითგანვითარებაზე, მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში და იმაღლებს პროფესიულ ცოდნას, შეძენილ უნარებს კი ეფექტურად იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 9 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).

კანდიდატი არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. კანდიდატი 2020-2022 წლებში აქტიურად მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პრაქტიკის განზოგადების პროცესში, შესაბამის ჯგუფთან ერთად სრულად დაამუშავა ამ პერიოდში მიღებული განჩინებები და განაჩენები, გამოარჩია პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და მოახდინა მათი ანალიტიკა. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 3 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 86 ქულას.

ლევანი თევზაძე